

გერმანული ენის საზაფხულო კურსი

Hochschulsummerkurse in Deutschland für ausländische Studierende und Graduierte

საჭირო დოკუმენტების ნუსხა

- **ონლაინ სააპლიკაციო ფორმა (იხილეთ პორტალზე);**
- **CV** (გერმანულ ენაზე, ნებისმიერი ფორმატის);
- **სამოტივაციო წერილი** (გერმანულ ენაზე);
სამოტივაციო წერილში ნათლად უნდა იყოს ჩამოყალიბებული კონკურსში მონაწილეობის მიზანი და მითითებული უნდა იყოს აპლიკანტის მიერ ზმულზე <http://www.daad.de/hsk-kursliste> შერჩეული 3 უნივერსიტეტი / ენის კურსი;
- **გერმანული ენის საერთაშორისო სერტიფიკატი (მინიმალური დონე A2)**
 - ენის საერთაშორისო სერტიფიკატი გაცემული უნდა იყოს ბოლო 2 წლის განმავლობაში;
 - მისაღება აგრეთვე 2020 წელს გაცემული onSET-ის სერტიფიკატი;
 - ენის სერტიფიკატის არქონის შემთხვევაში, აპლიკანტმა უნდა დაწეროს onSET-ის უფასო დიაგნოსტიკური ტესტი 16 ან 17 ნოემბერს. დეტალური ინფორმაცია ტესტზე დარეგისტრირების შესახებ იხილეთ [ფეისბუქის ზმულზე](#), 2 ნოემბრის პოსტში.
- **მხოლოდ ბაკალავრიატის და სამედიც. სწავლების მე-2 და მე-3 კურსის სტუდენტებისთვის:**
სკოლის ატესტატი ნიშნების ფურცელთან ერთად
 - ნიშნების ფურცლის გამოთხოვა ხდება სკოლიდან ან განათლების სამინისტროდან;
 - ნიშნების ფურცელი გულისხმობს სკოლაში გავლილი საგნებისა და მათი საბოლოო შეფასების ჩამონათვალს;
შენიშვნა: დოკუმენტები პორტალზე იტვირთება რუბრიკაში Leistungsnachweise.
- **უნივერსიტეტის ცნობა ნიშნების ფურცელთან ერთად**
 - ცნობა ბაკალავრიატში (ან სამედიცინოზე) სწავლის შესახებ, მიმდინარე კურსის / სემესტრის მითითებით;
 - ნიშნების ფურცელი (სწავლის დაწყებიდან ბოლო სემესტრის ჩათვლით);
შენიშვნა: ა) ეს ორი დოკუმენტი შესაძლოა ერთად იყოს გაცემული;
ბ) დოკუმენტ(ებ)ი პორტალზე იტვირთება რუბრიკაში Leistungsnachweise.
- **მხოლოდ მაგისტრატურის პირველი კურსის სტუდენტებისთვის**
 - ცნობა მაგისტრატურაში სწავლის შესახებ (მიმდინარე კურსის / სემესტრის მითითებით);
 - ბაკალავრის დიპლომი
შენიშვნა: დოკუმენტები პორტალზე იტვირთება რუბრიკაში Hochschulzeugnisse;
 - ბაკალავრის დიპლომის დანართი / ნიშნების ფურცელი
შენიშვნა: დოკუმენტი პორტალზე იტვირთება რუბრიკაში Leistungsnachweise.
- **მხოლოდ სამედიცინო სწავლების მე-4 და მე-5 კურსის სტუდენტებისთვის:**
უნივერსიტეტის ცნობა ნიშნების ფურცელთან ერთად
 - ცნობა სამედიცინოზე სწავლის შესახებ (მიმდინარე კურსის / სემესტრის მითითებით);
 - უნივერსიტეტის ნიშნების ფურცელი;
შენიშვნა: ა) ეს ორი დოკუმენტი შესაძლოა ერთად იყოს გაცემული
ბ) დოკუმენტ(ებ)ი პორტალზე იტვირთება რუბრიკაში Leistungsnachweise.
- **თქვენს ხელთ არსებული სხვა მნიშვნელოვანი (არასავალდებულო) დოკუმენტები**
 - მაგ.: ცნობა პრაქტიკის შესახებ, ცნობა სამუშაო ადგილიდან და სხვ.
შენიშვნა: დოკუმენტ(ებ)ი პორტალზე იტვირთება რუბრიკაში Sonstiges.

დოკუმენტებს არ ესაჭიროება ნოტარიული დამოწმება.

ორენოვანი დოკუმენტების ორიგინალი ინგლისური ვერსია მისაღება!

მნიშვნელოვანია, რომ მხოლოდ ქართულად გაცემული დოკუმენტები იყოს ნათარგმნი და დამოწმებული თარჯიმნის ბეჭდით.

განაცხადი უნდა აიტვირთოს [DAAD-ის ონლაინ პორტალზე](#). პორტალის მოხმარების ინსტრუქციას გაეცანით [ზმულზე](#).